სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №7

ქ. თბილისი **2016 წლის 29 ივლისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. აბესაძე ნინო 3. ბარბაქაძე ხათუნა 4. ხუციშვილი სანდრო 5. შვანგირაძე მათე 6. შუბითიძე ვლადიმერი 7. გოგინავა უშანგი 8. თუთბერიძე ბეჟანი 9. მაჭავარიანი ლია 10. ხაჩიძე მანანა 11. თევზაძე ალექსანდრე 12. ბექაური ბექა 13. ბასილაია ანანო 14. ჩეკურაშვილი ნინო 15. თოდუა ნონა 16. გარიშვილი მარინა 17. კვირიკაშვილი ბახვა 18. ონიანი თამარი 19. ოქიტაშვილი გიორგი 20. მარგველაშვილი ვლადიმერი 21. ქიტუაშვილი თინა 22. ხოდელი ნოდარი 23. ჩხაიძე ზურაბი 24. წერეთელი მარი 25. შამილიშვილი მანანა 26. ჟვანია ირინე 27. ჩახუნაშვილი ნინო 28. თოფურია სალომე 29. ლორია კახაბერი 30. გელოვანი ნანი 31. თაბუაშვილი აპოლონი 32. ბრაჭული ირაკლი 33. ოთხმეზური გიორგი 34. პაიჭაძე თამარი 35. შარაბიძე თამარი 36. კეჟერაშვილი შოთა 37. გაიპარაშვილი ზურაბი 38. ღარიბაშვილი ირაკლი 39. სუმბაძე ციური 40. ბაშალეიშვილი ლევანი 41. ქადეიშვილი თორნიკე 42. მაჭავარიანი ნანა 43. წაქაძე სევერიანი 44. ხომერიკი გიორგი 45. რუსიაშვილი გიორგი 46. იოსელიანი ხათუნა 47. ახალბედაშვილი ლალი 48. ალანია ვიქტორი 49. რევიშვილი ზურაბი 50. ხეცურიანი ნათელა 51. ხუციშვილი მარინე 52. ნემსაძე ადა (დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისთვის უფლებამოსილების ცნობა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა
3. სამგზავრო-კიდული საბაგირო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის საკითხი

4. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო წარმომადგენლობითი საბჭოს ახალარჩეულ წევრთა ვინაობა.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად ცნო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების - ტარიელ გაგელიძის, სანდრო ხუციშვილის, მათე შვანგირაძის, ვლადიმერ შუბითიძის, ალექსანდრე თევზაძის, ანანო ბასილაიას, ნინო ჩეკურაშვილის, მარინა გარიშვილის, თამარ ონიანის, გიორგი ოქიტაშვილის, თინა ქიტუაშვილის, ნოდარ ხოდელის, ზურაბ ჩხაიძის, ავთანდილ ტუკვაძის, თორნიკე შევარდნაძის, სალომე თოფურიას, თამარ შარაბიძის, შოთა კეჟერაშვილის, გიორგი ჯავახაძის, ციური სუმბაძის, ლევან ბაშელეიშვილის, თორნიკე ქადეიშვილის, ნანა მაჭავარიანის, სევერიან წაქაძის, გიორგი ხომერიკის, გიორგი რუსიაშვილის, ხათუნა იოსელიანის, ლალი ახალბედაშვილის, ვიქტორ ალანიას, ზურაბ რევიშვილის, ნათელა ხეცურიანის, მარინე ხუციშვილის, ადა ნემსაძისა და ირაკლი ღარიბაშვილის - უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ბატონ რამაზ ხომერიკის განცხადება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 52
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: რამაზ ხომერიკს შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

3. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა მირიან ჩაჩავამ და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ვახტანგ შალიბაშვილმა წარმოადგინეს სამგზავრო-კიდული საბაგირო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის საკითხი. ბატონ მირიან ჩაჩავას განმარტებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, დაწყებულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების განვითარება. მსგავს საწარმოთა ნაწილი, რომელიც ფორმალურად არსებობდა ან არარენტაბელური იყო, გაუქმდა ან მოხდა მათი რეორგანიზაცია, გაერთიანება უფრო დიდ საწარმოებად. ამ ღონისძიებების ფარგლებში, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო შპს „საქსპეცტრანსი“ აპირებს თბილისში არსებული საბაგიროების რეაბილიტაციას. ერთ-ერთი საბაგიროს შენობა ამჟამად მოქცეულია უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. იმისათვის, რათა სახელმწიფომ გამოყოს მიზნობრივი დაფინანსება, აუცილებელია ამ კონკრეტულ ქონებაზე გარკვეულ უფლებებს ფლობდეს ხსენებული საწარმო. ამიტომაც ეთხოვა უნივერსიტეტს, ეს შენობა და მისი მიმდებარე, 1462 კვ.მ. მიწა უსასყიდლოდ გადასცეს შპს „საქსპეცტრანსს“.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ქალბატონი ნონა თოდუა, ბატონები - ბახვა კვირიკაშვილი, გიორგი ოთხმეზური, მათე შვანგირაძე, ქალბატონი თამარ შარაბიძე დაინტერესდნენ, თუ რა სარგებელს მიიღებს ხსენებული ქონების გადაცემის შედეგად უნივერსიტეტი, სტუდენტობა და რატომაა აუცილებელი ამ ქონების გასხვისება. ამაზე ბატონმა ვახტანგ შალიბაშვილმა განაცხადა, რომ საბაგირო მოემსახურება ყველას, მგზავრობა დაახლოებით 50 თეთრი ეღირება და ეს პროექტი უფრო სოციალურია, ვიდრე მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ნონა თოდუამ, ბეჟან თუთბერიძემ, ირაკლი ბრაჭულმა, ხათუნა ბარბაქაძემ, სანდრო ხუციშვილმა, ბახვა კვირიკაშვილმა, გიორგი რუსიაშვილმა, გიორგი ოთხმეზურმა, თამარ ონიანმა, ზურაბ გაიპარაშვილმა, მათე შვანგირაძემ, აპოლონ თაბუაშვილმა, ზურაბ რევიშვილმა, კახაბერ ლორიამ და თამარ პაიჭაძემ. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა შეფასებით, უნივერსიტეტის ქონება, რომელიც მის საკუთრებაშია, უსასყიდლოდ არ გადაეცემა არავის, ვინაიდან აღნიშნული აზარალებს უნივერსიტეტის

ინტერესებს. იმ პირობებში, როდესაც თსუ-ს მიერ ადრე სარგებლობაში არსებული ქონების დიდი ნაწილი სახელმწიფოს აღარ გადმოუცია უნივერსიტეტისთვის, არსებულ საკუთრებას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი რუსიაშვილმა წამოაყენა წინადადება, - ვინაიდან საბაგიროს გაკეთება ქალაქისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და უშუალოდ ამ პროექტს სენატის სხვა წევრებიც უჭერენ მხარს, აჯობებს თუკი აღნიშული ქონება კი არ გასხვისდება, არამედ იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გადაეცემა კომპანიას. იჯარის ქირა კი საბაგიროს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გამოითვლება რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯებისა და იჯარით გაცემული ქონების ღირებულების პროპორციულად. ამ წინადადებას დაეთანხმნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები. ქალბატონ ნონა თოდუას ინიციატივით, ვინაიდან საბაგიროს ფუნქციონირებას არ სჭირდება 1462 კვ.მ., რაც საკითხის მომხსენებლებმაც დაადასტურეს, უპრიანი იქნება, თუკი შენობასთან ერთად არაუმეტეს 200 კვ.მ. მიმდებარე მიწა გაიცემა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა (კენჭისყრისას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას ესწრებოდა 48 წევრი):

მომხრე: 46
წინააღმდეგი: 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს ერთმა წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილება: 1. გაიცეს 01.14.06.006.020 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 200 კვ.მ. მიწა და შესაბამისი შენობა-ნაგებობა იჯარის წესით 5 წლის ვადით (2017 წლის 1 იანვრამდე სასყიდლის გადახდის გარეშე), დროებით სარგებლობაში, ამავე ვადით ავტომატური განახლებისა და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობით, შესაბამისი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის, ასევე, მიმდებარე მიწის კეთილმოწყობის მიზნით. 2. სასყიდელი განისაზღვროს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ყოველწლიური მოგებიდან, რეაბილიტაციის ხარჯებისა და იჯარით გადაცემული ქონების ღირებულების პროპორციულად.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, მათე შვანგირაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოახსენა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში არსებული მდგომარეობის შესახებ. მისი განცხადებით, რამდენჯერმე ჩაიმსხვრა მინა მაღალ სართულებზე. შეუძლებელია სტუდენტმა უსაფრთხოდ გაიაროს, აუცილებელია სასწრაფოდ მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა, რომელიც, ერთი მხრივ, საფრთხეში აგდებს ნებისმიერს, რომელიც მაღლივის ტერიტორიაზე იმყოფება და მეორე მხრივ, უნივერსიტეტს სახელს ზიანს აყენებს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნინო აბესაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემის თაობაზე უკვე ინფორმირებულია ადმინისტრაცია და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

წარმომადგენლობითი საბჭოს რამდენიმე წევრის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ სენატის წევრებს შემდგომში განცხადებით მიემართათ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლისთვის. სპიკერმა, კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ იგი პირადად დაუკავშირდება ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რათა პრობლემა მაქსიმალურად მცირე ვადებში აღმოიფხვრას.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 29 ივლისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- ხუციშვილი სანდრო
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი
- ჩხაიძე ზურაბ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

- შარაბიძე თამარი

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეჟერაშვილი შოთა
- ჯავახაძე გიორგი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშალეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

- მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

- რევიშვილი ზურაბი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა